24
ნოემბერი

კვირა,
1963 წ.
№ 232 (2337)
გამოცემის მე-20 წელი.
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი უცხოელი

◆

## ნ. გაფრინდაშვილი მიწვეულია ჰასტინგსის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში

◆

— ნონა გაფრინდაშვილმა მიიღო ჰასტინგსის საახალწლო საერთაშორისო ვაჟთა ტურნირში მოწვევა და დეკემბრის ბოლოს კიდეც გაემგზავრება ინგლისში, — ამბობს საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ლ. აბრამოვი.

— როგორ, ჰასტინგსის მთავარ ტურნირში? — კითხულობს გაკვირვებით მ. ბოტვინიკი. მას ეს ამბავი პირველად ესმის.

— დიახ, ოსტატთა მთავარ ტურნირში, — პასუხობს ლ. აბრამოვი. — იქ სადაც, ოდესღაც ქალებიდან თამაში ღირსებია მხოლოდ ვერა მენჩიკს.

— ოო, ეს დიდებულია! — დაასკვნის გაღიმებული მ. ბოტვინიკი.

ასეთ დიალოგს ადგილი ჰქონდა თვენახევრის წინ მ. ბოტვინიკსა და ლ. აბრამოვს შორის თბილისის ტელევიზიით გამოსვლის დროს.

საბჭოთა ჭადრაკის ღვაწლმოსილი წარმომადგენლის გაკვირვება არ იყო საფუძველს მოკლებული. მას თვითონ ორჯერ (1934-35 და 1961-62 წწ.) მიუღია მონაწილეობა ჰასტინგსის ტურნირში და კარგად იცის ამ ტრადიციული ტურნირების თავისებურებანი. ჰასტინგსის მთავარ ვაჟთა ტურნირში, რომელიც უკვე 38-ჯერ გამართულა, არასოდეს მიუწვევიათ მოჭადრაკე ქალი, ისიც უცხოელი. ტრადიციებს ჩვეულმა ინგლისელებმა უღალატეს მას. ეს მართლაც რომ მოულოდნელი სიურპრიზია. ამაზე მათ უბიძგა ნონა გაფრინდაშვილის უჩვეულო საჭადრაკო ნიჭმა, თამაშის ძალამ.

ნონა გაფრინდაშვილი იქნება პირველი უცხოელი ქალი, რომელიც ითამაშებს ჰასტინგსში. მაგრამ მანამდე, 30-იან წლებში ჰასტინგსის ტურნირში მონაწილეობა მიუღია მხოლოდ მსოფლიოს პირველ ჩემპიონს — ვ. მენჩიკს.

ჰასტინგსში თამაში ყველა მოჭადრაკისათვის დიდი პატივია. ჰასტინგსის საჭადრაკო კლუბი, რომელიც 81 წელია არსებობს, 1920 წლიდან სისტემატურად აწყობს საჭადრაკო ფესტივალებს. ფესტივალი იწყება დეკემბრის ბოლო რიცხვებში და მთავრდება იანვრის დამდეგს. ერთდროულად იმართება ათი ტურნირი, თვითეული ათ-ათი მონაწილით. ტურნირებში მოჭადრაკეები თამაშობენ თანრიგების მიხედვით. მაგრამ უმაღლესი თანრიგის მთავარ ან ოსტატთა ტურნირში პერსონალურად იწვევენ ხოლმე რამდენიმე გამოჩენილ უცხოელ გროსმაისტერს. ამიტომ არაფერია გასაკვირი, რომ ჰასტინგსში უთამაშია ყველა მსოფლიო ჩემპიონს — ვ. სტეინიცს, ე. ლასკერს, ხ. კაპაბლანკას, ა. ალიოხინს, მ. ეივეს, მ. ბოტვინიკს, ვ. სმისლოვს (მ. ტალისა და ტ. პეტროსიანის გარდა) და ათობით სხვა სახელგანთქმულ გროსმაისტერს. ბოლო წლებში ჰასტინგსის ტურნირების მონაწილეებად ვხედავთ გამოჩენილ საბჭოთა გროსმაისტერებს — დ. ბრონშტეინს, ვ. კორჩნოის, მ. ტაიმანოვს, პ. კერესს, ი. ბონდარევსკის და სხვებს. თვითონ ინგლისიდან ტურნირში მონაწილეობენ მხოლოდ ის უძლიერესი ოსტატები, რომლებიც ისახელებენ თავს ქვეყნის პირველობაში ან საზღვარგარეთ ჩატარებულ რომელიმე ტურნირში.

ნონა გაფრინდაშვილისათვის ჰასტინგსში მიწვევა უდიდესი დაფასებაა. მსოფლიო ჩემპიონი უკვე შეუდგა მზადებას. ჯერ არ არის ცნობილი ტურნირის მონაწილეთა გვარები. ცნობილია მხოლოდ, რომ საბჭოთა კავშირიდან ჰასტინგსში გაემგზავრება მ. ტალი.

ჩვენს სპორტულ საზოგადოებრიობას სწამს და სჯერა, რომ ნონა გაფრინდაშვილი თავს გამოიჩენს ინგლისში, ასახელებს საბჭოთა ჭადრაკს, მის შესანიშნავ ტრადიციებს.

ნ. გაფრინდაშვილი.



ახლა საქართველოს მთელ რიგ ქიმიურ საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივების სპორტული ღონისძიებანი ეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმს, რომელმაც უნდა მოისმინოს ჩვენი ქვეყნის ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხები.

• • •

ამ სურათზე აღბეჭდილია რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კაპროლაქტამის საწარმოს ცვლის უფროსი (მისმა ცვლამ მიიღო პირველი ქართული კაპროლაქტამი), ქარხნის ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი, პირველთანრიგოსანი გ. ნიკოლიშვილი ვარჯიშის დროს.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

# ისევ ა. ჩაიკოვსკაია

საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატზე V ტურის შემდეგ ტურნირს სათავეში ჩაუდგა რუსთაველი ოსტატი ჩაიკოვსკაია (4,5 ქულა). მისი დაწევა შეეძლო მხოლოდ პიატიგორსკელ ოსტატ კოზლოვსკაიას, რომელსაც 3,5 ქულა და ბელავენეცთან გადადებული ერთი პარტია ჰქონდა. ამიტომ გარკვეული სპორტული ინტერესი გამოიწვია განვლილ ხუთ ტურში გადადებული პარტიების დამთავრებამ.

ამაო აღმოჩნდა კოზლოვსკაიას ცდა მოენახა მოგების გზა. იგი დაკმაყოფილდა ყაიმით და ჩაიკოვსკაია დარჩა ერთპიროვნულ ლიდერად.

კაკაბაძეს სამი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი. ვოლპერტთან მან დათმო პარტია თამაშის განუახლებლად, რანიკუსთან ვერ გამოიყენა ყაიმის შანსები და დამარცხდა. წააგო აგრეთვე პარტია ბელავენეცთან. მოულოდნელად დასრულდა ბიკოვა-შადურას პარტია. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს აშკარა უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მან უხეში შეცდომით დაკარგა მნიშვნელოვანი პაიკი და დამარცხდა. ეს ბიკოვას მესამე დამარცხებაა.

წარუმატებლად გამოდის ჩემპიონატში ბაქოელი ზატულოვსკაია. მან სამ გადადებულ პარტიაში მხოლოდ 1,5 ქულა მოაგროვა: მოუგო კაზმინას, წააგო შადურასთან და ყაიმზე შეუთანხმდა რანიკუს. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე კუშნირ-ზვორიკინას შეხვედრა.

პირველი გამარჯვება მოიპოვა ბორისენკომ პარტიაში იგნატიევასთან, ხოლო კაზმინას ყაიმზე შეუთანხმდა.

V ტურის შემდეგ წინ არიან ა. ჩაიკოვსკაია (4,5 ქულა), ვ. კოზლოვსკაია (4 ქულა), კ. სკეგინა, ლ. შადურა, მ. რანიკუ და ზ. ბელავენეცი (3,5 ქულა თვითეულს). თბილისელ მოჭადრაკეებს ე. კაკაბაძესა და ს. ივანოვას მხოლოდ თითო ქულა აქვთ.

# „ბულდოგსი“ კვლავ დამარცხდა

კანადის ჰოკეისტთა გუნდმა „ვინძორ ბულდოგსმა“ მოსკოვში ჩაატარა მეხუთე მატჩი და კვლავ დამარცხდა. ამჯერად მის წინააღმდეგ გამოვიდა მოსკოვის „სპარტაკი“.

მართალია, სპარტაკელთა მეკარე, ჩვენი ქვეყნის ნაკრების კანდიდატი ა. რაგულინი საკმაოდ ცუდად თამაშობდა დასაწყისში, მაგრამ ეს სათანადოდ ვერ გამოიყენეს კანადელებმა. მას შემდეგ, რაც „ბულდოგსმა“ გახსნა ანგარიში, საბჭოთა სპორტსმენებმა თანდათან ხელთ იგდეს ინიციატივა და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 6:2.

## დღეს ნომერში:

△ ოლიმპიური ქვეყანა.

△ ყველასათვის სასარგებლო საქმე.

△ ორგანიზაციულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

△ ფეხბურთის ქრონიკა.

# მეგობრული შეხვედრები ჯაკარტაში

ინდონეზიის დედაქალაქში თითქმის ორ კვირას გრძელდებოდა სპორტული შეჯიბრებები, სადაც მსოფლიოს 51 ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ეს იყო მშვიდობისა და მეგობრობის თავისებური ფესტივალი და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის სოლიდარობის დიდი დემონსტრაცია.

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის დელეგაცია 100-ზე მეტ კაცს ითვლიდა. ჩვენმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ფრენბურთში, ჩოგბურთში, კრივში, ჭიდაობაში, ტყვიით სროლაში, მშვილდოსნობასა და ტანვარჯიშში გამართულ შეჯიბრებებში. ჯაკარტაში განეფოს თამაშების პროგრამით გათვალისწინებული იყო ქალთა ზეიმის მოწყობაც. ამ ზეიმზე სპორტსმენ ქალებს საჩუქრად მიართვეს ყვავილები, სუვენირები და სამახსოვრო ნიშნები.

მოეწყო სპორტსმენთა უკანასკნელი შეჯიბრებები. ბოლო დღეს ინდონეზიელმა ლი ლან ხოამ ქალთა შორის 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში გაიმარჯვა — 1.16,5, ხოლო კორეელმა სპორტსმენმა ქალმა ხონ ხვან იამ 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პირველობა არავის დაუთმო — 5.35,4. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ განეფოს თამაშებზე ცურვაში დამყარებული იქნა 25 ეროვნული რეკორდი.

ახალ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა ჩოგბურთელებმა. შერეულ წყვილთა შორის პირველი ადგილი მოიპოვეს ა. დმიტრიევამ და ს. ლიხაჩოვმა. ამ სახეობაში მეორე ადგილიც საბჭოთა ჩოგბურთელებს გ. ბაკშეევასა და თ. ლეიუსს დარჩათ.

* * *

### ეცნობიან მშობლიურ მხარეს

საინტერესო ლაშქრობებსა და ექსკურსიებს აწყობს მშობლიური მხარის შესწავლის მიზნით საჩხერის რაიონის სოფელ საირხის საშუალო სკოლის ისტორია-გეოგრაფიის წრე (ხელმძღვანელი ვ. ნადირაძე).

ამას წინათ წრის წევრებმა ღამე გაათიეს დევის ტბის მიდამოებში, მოაწყვეს შეჯიბრება კარვების გაშლაში, კოცონის დანთებასა და ჭადრაკში. ლაშქრობამ საინტერესოდ ჩაიარა, მოსწავლეები კმაყოფილნი დაბრუნდნენ შინ.

**თ. ლაშხი,**
**საჩხერის რაიონის სოფელ საირხის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.**

### ორ ასაკობრივ ჯგუფში

ამას წინათ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კალათბურთის მოედნებზე მოეწყო ქალაქის სკოლების უმცროსი და საშუალო ასაკის გუნდების შეჯიბრება. პირველი ადგილი საშუალო ასაკის ჭაბუკთა შორის დაიკავა მე-60 სკოლის გუნდმა. გოგონათა შორის უძლიერესი იყო 97-ე სკოლის კოლექტივი. უმცროსი ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის გამარჯვებულნი გამოვიდნენ შესაბამისად 43-ე და 98-ე სკოლები.

**ვ. შეყლაშვილი**

### რაიონში პირველი

დამთავრდა თბილისის კალინინის სახელობის რაიონული სპარტაკიადა. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „თბილწყალსადენის“ კოლექტივმა, რომელმაც პირველი ადგილები მოიპოვა ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირში და ველოსპორტში, მეორე ადგილებზე გამოვიდნენ მოცურავეები, მსროლელები, ძალოსნები და მოჭიდავეები. საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზეა სახბანკის გუნდი, მესამეზე — „მთავთბილმშენი“.

**ი. თოდრია**



# კვლავ ისმოდა საჭიდაო

დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ ქართულ ჭიდაობაში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაზე, რომელიც გორში ჩატარდა.

მონაწილეთა სიმცირის მიუხედავად (50 კაცი), ორდღიანი ბრძოლა სპორტული შეუპოვრობით აღინიშნა. სამი წლის შესვენების შემდეგ სარბიელზე კვლავ გამოჩნდა ქვესაშუალო წონის გორელი მოჭიდავე ანზორ ბაზერაშვილი, რომელმაც მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა მთელი შეჯიბრება. მან კარგ სტილში დაამარცხა თბილისელი ქევხიშვილი, თელაველი დ. მეზვრიშვილი და პირველი ადგილი დაიკავა. მოსაწონი იყო თბილისელი ზ. ყანჩაშვილის ჭიდაობა. იგი მართალია „დინამოს“ ჩემპიონი ვერ გახდა (ქულებით წააგო ბაზერაშვილთან და მეორე ადგილი დაიკავა), მაგრამ მეტოქეებთან ვაჟკაცური შემართებით სამართლიანად მოიპოვა მაყურებელთა სიმპათიები. კარგი ტექნიკური ჭიდაობა უჩვენეს აგრეთვე თელაველებმა გ. მანველიშვილმა და ე. მეზვრიშვილმა. შეჯიბრება იმითაც იყო საინტერესო, რომ მასში მონაწილეობდნენ საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ა. კიკნაძე და ქართული ჭიდაობის ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორიც იყვნენ გორელი დ. ბერუაშვილი, თბილისელები—ა. მარტყოფლიშვილი, ჩ. ქუცნიაშვილი და სხვები.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა თბილისის „დინამოს“ მესამე გაერთიანებულმა გუნდმა (მწვრთნელი რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ქ. ნინიაშვილი). მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს გორისა და თელავის წარმომადგენლებმა.

წონითი კატეგორიის მიხედვით სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ: ჩ. ქუცნიაშვილი, ვ. პეტრიაშვილი, ს. ბლარაშვილი, ა. მარტყოფლიშვილი (ყველა თბილისიდან), ა. ბაზერაშვილი (გორი), გ. მანველიშვილი (თელავი), დ. ბერუაშვილი (გორი) და ა. კიკნაძე (თბილისი).

**ი. თევდორაშვილი**

* * *

**სურათზე:** „დინამოს“ 1963 წლის ჩემპიონის დ. ბერუაშვილის შეხვედრა თელაველ ბოტკოველთან.

ფოტო შ. კუკულავასი.

# მასწავლებელთა ტურნირი

ამას წინათ განათლების მუშაკთა ქობულეთის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო ქალაქის სკოლების მასწავლებელთა ტურნირი ჭადრაკში ვაჟთა შორის. ტურნირში მონაწილეობდა 11 მასწავლებელი, რომლებიც ერთმანეთს ორ-ორჯერ შეხვდნენ.

პირველი ადგილი დაიკავა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელმა პ. კვერენჩხილაძემ — 18 ქულა, მეორე ადგილი წილად ხვდა ამავე სკოლის მასწავლებელს გ. ცივაძეს — 16,5 ქულა. მესამე ადგილი დაიკავა № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ა. მურადოვმა (11 ქულა).

# ყველასათვის სასარგებლო საქმე

თბილისის კამოს სახ. სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოების ქარხანაში სიყვარულით სარგებლობს ჭადრაკი. ეს გაითვალისწინა საწარმოს ხელმძღვანელობამ, როცა ამას წინათ ჭადრაკის მოყვარულებს გამოუყო ცალკე ოთახი, რომელსაც საჭადრაკო კლუბი დაერქვა. კლუბისათვის შეძენილ იქნა ყველა საჭირო ინვენტარი: მაგიდები, ჭადრაკის კომპლექტები. საკუთარი ძალებით გულშემატკივრებმა დაამზადეს სადემონსტრაციო დაფები. სხვათა შორის, ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვით ზეინკალ ს. ახვერდოვს, მღებავ კ. არუთინოვს და დურგალ რ. ჩოკოშვილს. კლუბი შეუდგა სასარგებლო საქმიანობას.

კლუბის მესვეურნი ხელმძღვანელობენ ქარხანაში შეჯიბრებების, ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნის კონკურსების გამართვას. კვირაში ორჯერ მუშაობს სექცია, რომელსაც მრავალი მოყვარული ესწრება. კლუბს არ აკლია ყურადღება ქარხნის ხელმძღვანელობიდან, რომლებიც კარგად არიან გათვითცნობიერებული ჭადრაკში. მაგალითად, ქარხნის დირექტორი ვ. ოსეპჩუკი, საგეგმო განყოფილების ინჟინერ-ნორმადარი და პარტბიუროს მდივანი ა. ბაზაზანოვი, მთავარი ეკონომისტი ო. ველიაშვილი და ტექნიკური განყოფილების უფროსი ბ. ნაფეტვარიძე მეორეთანრიგოსანი მოჭადრაკეები არიან.

თავისი არსებობის სამი თვის მანძილზე ქარხნის საჭადრაკო კლუბმა გარკვეული მუშაობა ჩაატარა მუშა-მოსამსახურეთა შორის ჭადრაკის პროპაგანდისა და დანერგვის საქმეში. წელს საქარხნო პირველობა ორსაფეხურიანი შეჯიბრებით მიმდინარეობს.

კამოს სახელობის ქარხნის ენთუზიასტთა წამოწყება მისასალმებელია. იქ, სადაც უყვართ სპორტი, ყოველთვის შეიძლება გადაიდგას მსგავსი კეთილშობილური ნაბიჯი, გაკეთდეს ყველასათვის სასარგებლო საქმე.

**გ. ნიკოლაიშვილი**

### XXII ყრილობის შესახვედრად

# ჟურნალისტები — სპარტაკიადაში გამარჯვებულნი

ბათუმში დამთავრდა ქალაქის კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ფიზკულტურული კოლექტივების მე-7 სპარტაკიადა, რომელიც ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. სპარტაკიადის პროგრამაში იყო სპორტის 6 სახეობა — ჭადრაკი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი, ცურვა, სროლა და ფრენბურთი.

კარგად გამოვიდა შეჯიბრებაში გაზეთ „სოვეტსკაია აჭარიას“ რედაქციის გუნდი. მათ 6 სახეობიდან ხუთში გუნდური პირველი ადგილები დაიკავეს და მხოლოდ სროლაში დაკმაყოფილდნენ მეორე ადგილით. ამ სახეობაში გაიმარჯვა ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის გუნდმა.

გაზეთ „სოვეტსკაია აჭარიას“ სპორტსმენებმა მეოთხედ მოიპოვეს გარდამავალი თასი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის სპორტსმენები, ხოლო მესამეზე — ბათუმის ტიპოლიტოგრაფიის წარმომადგენლები.

**ვ. მოსეშვილი**

### პიონერულ ოთხჭიდში

„შრ. რეზერვების“ სტადიონზე დამთავრდა თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სკოლების პიონერთა შეჯიბრება მძლეოსნურ ოთხჭიდში გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ თასზე, რომელშიც 15 საშუალო სკოლის 150 პიონერი მონაწილეობდა.

გოგონათა გუნდებში პირველი ადგილი დაიკავეს მე-13 საშუალო სკოლის პიონერებმა, მეორე ადგილზეა მე-9 და მესამეზე — მე-16 სკოლის სპორტსმენები. ვაჟებში პირველობა დაისაკუთრეს მე-9 სკოლის მოსწავლეებმა, მეორე ადგილი წილად ხვდა მე-11 სკოლის გუნდს, ხოლო მესამე — 113-ე საშუალო სკოლის სპორტსმენებს. საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს მე-9 სკოლის ფიზკულტურელებმა, მეორე ადგილზე გამოვიდა მე-13 საშუალო სკოლის კოლექტივი. მესამე ადგილი ერგო მე-11 საშუალო სკოლის გუნდს.

მე-13 სკოლის მოსწავლემ ი. ანდრუშენკომ, მე-9 სკოლის მოსწავლემ ი. სარქისოვამ, მე-16 სკოლის მოსწავლემ ტ. ეპიფანოვამ და მე-14 საშუალო სკოლის მოსწავლემ ი. წკრიალაშვილმა მოზარდთა თანრიგის ნორმები შეასრულეს. 49 მოსწავლემ შეასრულა იმათ ნორმები.

**ი. ხაჭაიშვილი**

თბილისში მიმდინარეობს „საქქალაქმშენსახპროექტის“ საპროექტო ინსტიტუტების სპარტაკიადა, მიძღვნილი საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი.

შეჯიბრების პროგრამაშია ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და ტყვიით სროლა. სპარტაკიადისათვის ჯერჯერობით ყველაზე უკეთ მომზადებული გუნდები გამოიყვანეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ორგანიზაციებმა.

ეს **სურათები** მოგვითხრობენ აღნიშნული სპარტაკიადის ზოგიერთ დეტალებზე. **მარცხენა სურათზე** თქვენ ხედავთ თბილისისა და სოხუმის კალათბურთელ ვაჟთა შეხვედრის მომენტს. **მეორე სურათზე** აღბეჭდილია მოჭადრაკეთა მატჩი. ერთმანეთს ხვდებიან ქუთაისისა და სოხუმის კოლექტივები.

ფოტო ს. აირაპეტოვისა.

# ორგანიზაციულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის

◆

**გ. სიხარულიძე,**
საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

◆

ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ფეხბურთის შემდგომ განვითარებას, წარმოადგენს სსრ კავშირის ჩემპიონატის სწორი ორგანიზაცია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპორტული ოსტატობის ზრდა პირველ ყოვლისა განპირობებულია რაციონალური წვრთნის პროცესით. ამ პროცესის დაგეგმვა (წვრთნის სრულწლიანი ციკლის მოსამზადებელი და შეჯიბრების პერიოდების ხანგრძლიობა, შეჯიბრების პერიოდის კვირეულ ციკლში მუშაობის აგებულება, შინაარსი და ა. შ.) განისაზღვრება შეჯიბრების კალენდრით. სწორედ კალენდარზეა დამოკიდებული ნორმალურად, წინასწარი გეგმით წარიმართება მოსამზადებელი პერიოდი, თუ წარმოიქმნება აუცილებლობა ფორსირებული წესით იქნას წარმოებული მზადება სეზონისათვის; ნორმალური იქნება ინტერვალები მატჩებს შორის, თუ იგი შემცირდება ისე, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება იყოს საწვრთნელი მუშაობის ნაყოფიერ წარმოებაზე.

ყველაფერი ეს სიახლეს არ წარმოადგენს. და მიუხედავად ამისა, სწორედ საორგანიზაციო საქმეში და ჩემპიონატის კალენდრის დაგეგმვაში იქნა დაშვებული ბოლო წლების მანძილზე შეცდომები, რომლებმაც უარყოფითი გავლენა მოახდინეს ხამამულო ფეხბურთის განვითარებაზე. შვეციისა და ჩილის მსოფლიო ჩემპიონატებში ჩვენი გუნდის მონაწილეობის ანალიზმა გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი ნაკრების მზადების საქმეში, რაც კერძოდ დაკავშირებული იყო სსრ კავშირის ჩემპიონატის არასწორ ორგანიზაციაზეც. ამ ანალიზის საფუძველზე წამოყენებულ იქნა მრავალი საყურადღებო წინადადება როგორც ნაკრებ გუნდებთან მუშაობის, ისე პირველობის ჩატარების მოწესრიგების თაობაზე, მაგრამ დრო გადის და ყველაფერი ის, რაზეც ლაპარაკი იყო ამ წინადადებებში, დავიწყებას მიეცა. მდგომარეობა უცვლელია.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე საბჭოთა ფეხბურთელებმა რამდენიმე მარცხი განიცადეს საერთაშორისო შეხვედრებში. ამ წარუმატებლობებმა ახალი ძალით წამოჭრა მტკივნეული საკითხები და დღის წესრიგში დადგა სსრ კავშირის პირველობის სისტემის გადასინჯვის საქმე, მაგრამ უნგრეთისა და იტალიის გუნდებთან მოპოვებულმა გამარჯვებებმა კვლავ გამოიწვია ერთგვარი თვითდამშვიდება და საორგანიზაციო გარდაქმნათა საკითხებმაც უკანა პლანზე გადაინაცვლა.

საგაზაფხულო წარუმატებლობათა პერიოდში დისკუსიამ ფეხბურთის საკითხებზე განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. მაგრამ დავა ხშირად არასწორი გზით მიემართებოდა და მარცხის მიზეზებს ეძებდნენ არა პრინციპული საკითხების სწორად გადაჭრაში, არამედ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პირად შემადგენლობაში.

ჩვენი ნაკრები გუნდის უკანასკნელი წარმატებების მიუხედავად, ვფიქრობთ, სსრ კავშირის პირველობის სისტემაში არის ისეთი მნიშვნელოვანი ხასიათის ხარვეზები, რომლებიც მომავალში აუცილებლად იჩენენ თავს და რაც უფრო ჩქარა აღმოვფხვრით მათ, მით უფრო დავაჩქარებთ ჩვენი ფეხბურთის საერთო პროგრესს.

რაში მდგომარეობს ეს ნაკლოვანებანი?

1. მოსამზადებელი პერიოდი ძალზე ხანმოკლეა, რის გამოც მოთამაშეთა ფიზიკური და ტექნიკური მომზადების ზრდა წარმოებს ძალზე პასიურად. თუ ნაკლოვანებანი ფიზიკურ მომზადებაში შემოდგომაზე ასე თუ ისე იჩქმალება, ტექნიკური ხარვეზები განსაკუთრებით ხელსახები ხდება.

2. არიტმული კალენდარი, სადაც ინტერვალები მატჩებს შორის მეტისმეტად შემცირებულია, ხელს უშლის საწვრთნელი პროცესის ნორმალურ ორგანიზაციას და იწვევს სპორტსმენთა გადაქანცვას.

3. კალენდარში არ არის წინასწარ დაგეგმილი შესვენებები, რასაც მოხდევს სსრ კავშირის პირველი, ოლიმპიური და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების წევრთა დიდი გადატვირთვა.

4. „ა“ კლასის პირველ ქვეჯგუფში არიან აშკარად სუსტი გუნდები, რომელთა მონაწილეობა უარყოფით გავლენას ახდენს საერთო სპორტულ ინტერესზე, იწვევს ძალისმიერ თამაშს, უხეშობას და ამუხრუჭებს ნიჭიერ ფეხბურთელთა ტექნიკურ პროგრესს.

ზემოხსენებულ ნაკლოვანებათა უმეტესობა გამოწვეულია იმით, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ არ გაატარა ცხოვრებაში თავისივე დადგენილება — დაეყვანა „ა“ კლასის პირველ ქვეჯგუფში გუნდების რაოდენობა 16-17-მდე და გაზარდა იგი 20-მდე.

4-5 ზედმეტი გუნდი — ეს ნიშნავს ათიოდე ზედმეტ თამაშს, ე. ი. კალენდარი უნდა გაგრძელდეს სულ ცოტა 6-8 კვირით, ეს კი იწვევს მოსამზადებელი პერიოდის იძულებით შემცირებას, ინტერვალების დაპატარავებას თამაშებს შორის, არიტმულ კალენდარს და ა. შ. აი სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ძირითადი წინაალმდეგობანი ჩვენს ფეხბურთში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ჩვენს მიერ ადრე გამოთქმულ წინადადებებს სსრ კავშირის ჩემპიონატის ჩატარებაზე „ა“ და „ბ“ კლასების გუნდებისათვის.

„ა“ კლასი უნდა წარმოადგენდეს ფეხბურთის აკადემიას და არა მოსამზადებელ კურსებს. განა კურიოზი არაა, რომ ოსტატთა გუნდების მრავალ მოთამაშეს არ შეუძლია ხეირიანად მიიღოს და გადასცეს ბურთი (უკვე არ ვლაპარაკობთ ბურთის დამუშავებაზე, ტარებასა და კარში დარტყმაზე მოძრაობის დროს). „ა“ კლასის მთელი რიგი გუნდების ფეხბურთელთა დაბალი ტექნიკური დონე უარყოფითად მოქმედებს მატჩების სპორტულ ხარისხზეც. მაყურებელი ხშირადაა მოწმე იმისა, თუ როგორ უხეშად მოქმედებენ დაბალი ტექნიკის მქონე გუნდები მოწინააღმდეგის წამყვანი მოთამაშეების ნეიტრალიზაციისათვის. აქ მხოლოდ ერთი ამოცანაა დასახული: მაღალი კლასის მოთამაშეთა იზოლირება ყოველგვარი საშუალებით, ე. ი. ფაქტიურად უხეშობა. სასურველი იქნებოდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას შემოეღო წესების დარღვევის აღრიცხვა. არის გუნდები, რომელთა მოთამაშეები მატჩის მსვლელობაში ღებულობენ ათეულობით საჯარიმო დარტყმას და თუ ვაწარმოებთ ამ დარღვევათა აღრიცხვას, იმ კოლექტივებს, რომელთა მოთამაშეებიც სისტემატურად არღვევენ თამაშის წესებს, პასუხი მოეთხოვება. ამით, რა თქმა უნდა, საერთო დისციპლინაც გაუმჯობესდება.

„ა“ კლასის პირველ ქვეჯგუფში გუნდების რაოდენობა 1964 წელს არ უნდა აღემატებოდეს 17-ს, ამასთან დაკომპლექტება უნდა მოხდეს დებულების შესაბამისად, საჭიროა მკაცრად დავიცვათ სპორტული პრინციპი, ე. ი. გუნდების განლაგება ქვეჯგუფების მიხედვით უნდა მოხდეს სწორედ ისე, როგორც მათ დაიკავეს ადგილები მიმდინარე გათამაშებაში. თუ „ა“ კლასში გვეყოლა 17 გუნდი, შესაძლებლობა მოგვეცემა გავზარდოთ მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლიობა დაახლოებით სამ თვემდე და დავიცვათ 6-7-დღიანი ინტერვალები ტურებს შორის, ამასთან კარგი იქნება, თუ თამაშები ჩატარდება მხოლოდ შაბათობით და კვირა დღეებში.

(დასასრული იქნება).

უხეშობას ჩვენს ფეხბურთში მკაცრი ბრძოლა გამოეცხადა, მაგრამ წესრიგის დარღვევის შემთხვევებს მაინც ვხვდებით თამაშის დროს. აი მაგალითიც: კიევის „დინამოს“ მცველები ამგვარად „უმასპინძლდებიან“ თბილისის დინამოელთა მარჯვენა გარემარბს ს. მეტრეველს თავიანთ საჯარიმო მოედანზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## „ა“ კლასი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკოვი) | 36 | 21 | 11 | 4 | 47—14 | 53 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 37 | 22 | 7 | 8 | 61—29 | 51 |
| „დინამო“ (მინსკი) | 38 | 18 | 12 | 8 | 47—27 | 48 |
| „დინამო“ (თბილისი) | 37 | 17 | 12 | 8 | 54—40 | 46 |
| სკა (როსტოვი) | 37 | 19 | 7 | 11 | 70—40 | 45 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 38 | 14 | 17 | 7 | 45—32 | 45 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 38 | 18 | 9 | 11 | 48—44 | 45 |
| „დინამო“ (კიევი) | 36 | 16 | 11 | 9 | 67—46 | 43 |
| ცსკა | 37 | 13 | 17 | 7 | 35—27 | 43 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 37 | 12 | 15 | 10 | 45—40 | 39 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 38 | 11 | 14 | 13 | 29—33 | 36 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 37 | 6 | 20 | 11 | 22—37 | 32 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 37 | 10 | 11 | 16 | 28—47 | 31 |
| „დინამო“ (ლენინგრადი) | 37 | 7 | 15 | 15 | 37—47 | 29 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 36 | 7 | 15 | 14 | 26—43 | 29 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 37 | 11 | 6 | 20 | 42—53 | 28 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 37 | 5 | 18 | 14 | 35—52 | 28 |
| „არარატი“ (ერევანი) | 37 | 9 | 8 | 20 | 34—54 | 26 |
| „ავანგარდი“ (ხარკოვი) | 38 | 6 | 13 | 19 | 25—56 | 25 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 37 | 4 | 12 | 21 | 40—79 | 20 |

• • •

მოსკოვი. 23 ნოემბერი. მორიგი შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში გაიმართა დედაქალაქის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორს“ შორის.

მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

# 4:1

დიდი ხანია მოსკოველებს თბილისელთა ასეთი კარგი თამაში არ უნახავთ. პირველი წუთებიდანვე მასპინძელთა მოედნის ბატონ-პატრონები სტუმრები აღმოჩნდნენ. ტორპედოელების მხარეს იყო თოვლჭყაპი, მოედანზე გაჩენილი ტბორებიცა და საკუთარი კედლებიც... მაგრამ დინამოელებმა ყველა ეს დაბრკოლება გადალახეს და მთელი თამაში შესანიშნავად ჩაატარეს.

პირველი ბურთი გავიდა თამაშის მერვე წუთზე, როცა მეტრეველი გაუსხლტა თავის მეურვეებს და კავაზაშვილთან პირისპირ დარჩენილმა ზუსტად დაარტყა კარში. 39-ე წუთზე კალოევმა ჩვეული ოსტატობით მიიღო მაღალი ბურთი და თავით გაგზავნა მეტოქის კარში—2:0.

შესვენების შემდეგ ორი წუთიც არ იყო გასული, რომ ბარქაიას ძლიერი დარტყმის შედეგად ბურთი მოხვდა კარის ზედა ძელს. უკუქცეულ ბურთს მიუსწრო მესხმა და მისი თავური დარტყმით ანგარიში გაიზარდა 3:0-მდე. სამიოდე წუთის შემდეგ ბარქაიას დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა და ლუჟნიკების სტადიონის ტაბლოზე მოინიშნა 4:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

ყველას ეგონა, რომ თბილისელები „მშრალი“ ანგარიშით წავიდოდნენ სველი მოედნიდან, მაგრამ თამაშის მე-80 წუთზე დანიშნული საჯარიმო ტორპედოელმა სერგეევმა კარგად გამოიყენა და ერთი ბურთი გაქვითა.

თბილისელებმა ისედაც სწრაფი ტემპი კიდევ უფრო გაზარდეს და კვლავ დაემუქრნენ ტორპედოელთა კარს. შეიქმნა კიდეც საგოლო მომენტი, მაგრამ ანგარიში არ შეიცვალა. მატჩი დამთავრდა თბილისის დინამოელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 4:1.

**ზ. ჯაფარიძე,**
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ამას წინათ რუსთავში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი და ადგილობრივი „მეტალურგი“. მატჩი მოიგო „მეტალურგმა“ — 4:3.

**სურათზე:** ვეტერანთა თავდამსხმელი ა. პაიჭაძე გადის გარღვევაზე.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

# გუშინ სპორტის სასახლეში

გუშინ სპორტის სასახლეში დაიწყო კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და თბილისის „დინამოს“, აგრეთვე თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდების მონაწილეობით.

პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ „ბურევესტნიკი“-ტსკა (ბერლინი) და თბილისის „დინამო“ და რუმინეთის ახალგაზრდული გუნდი. პირველთა მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 72:42. „დინამოსა“ და რუმინეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა გვიან. მატჩების დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ შემდეგ ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცოტა რამ ველორბოლის წარსულიდან

საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადა დასასრულს უახლოვდებოდა. დადგა ნანატრი დღე. დაიწყო ფინალები. მას, ვინც ამ დღეს მოსკოვის ნორჩ პიონერთა სტადიონზე იმყოფებოდა, ალბათ ახსოვს თუ რა დაძაბული ორთაბრძოლა გაიმართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონ ლატვიელ ნ. ბოდნიეკსსა და ჭაბუკ ო. ფხაკაძეს შორის. დაძაბული, დრამატული მომენტებით აღსავსე ორთაბრძოლა სპრინტერულ რბოლაში დამთავრდა ქართველი ველოსიპედისტის გამარჯვებით.

მე კარგად ვიცნობ ომარის. მისი სპორტული ოსტატობის ძალა ჩემთვის კარგად იყო ცნობილი. როცა ვუყურებდი ფინალურ რბოლას და ვაკვირდებოდი ომარის რბოლის მანერას, უნებლიეთ გამახსენდა წარსულში ცნობილი ქართველი სპრინტერის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონისა და რეკორდსმენის, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მონაწილის ო. დადუნაშვილის რბოლის მანერა. სპრინტერული ოსტატობის მაღალი კლასით ომარისა და ოთარის ბევრი საერთო აქვთ. ორთავეს არაჩვეულებრივად ძლიერი ბიძგი და შესანიშნავი ფინიში ჰქონდათ. რაც მთავარია ფანატიკური სწრაფვა გამარჯვებისაკენ.

როცა ვფიქრობდი ორი შესანიშნავი ქართველი სპრინტერის სპორტული ოსტატობის მსგავსებაზე, მეხსიერებაში აღსდგა წარსულის შესანიშნავ მრბოლელთა სახეები, რომლებმაც სხვადასხვა დროს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე მაღალი კლასი აჩვენეს სპრინტერულ რბოლაში. მათ შესახებ მე ვიცოდი ვეტერანების მონათხრობით, ლიტერატურით, ზოგიერთი მათგანი კი მე თვითონ მინახავს.

ტრეკი თბილისში ჯერ კიდევ რევოლუციამდე არსებობდა, მაგრამ იმ პერიოდის შეჯიბრებების შესახებ ძალიან ღარიბი ცნობები მოგვეპოვება. თუმცა, უტყუარი წყაროებიდან ცნობილია, რომ სამხრეთ რუსეთსა და კავკასიაში სპრინტში უძლიერესები იყვნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლადო კავსაძე და ნიკოლოზ გაბრიელოვი, რომლებმაც არაერთგზის დაამარცხეს საზღვარგარეთსა და რუსეთში ცნობილი მრბოლელები — უტოჩკინი, როტარი, ბატინგერი, ებერგარდი, ლენარი და სხვები. გარკვეული მასალები არსებობს ქართველ და ფრანგ მრბოლელთა საერთაშორისო შეხვედრაზე, რომელიც თბილისის ტრეკზე 1929 წელს გაიმართა. ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია მაშინ გ. ლექავამ (შემდეგში საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონმა სტაიერულ რბოლაში), რომელმაც მოუგო სპრინტი ფრანგ ბუასარს. ამ შეჯიბრებებში წარმატებით გამოვიდა აგრეთვე მეორე თბილისელი სპრინტერი ქ. ესაიანი, რომელმაც მოუგო ფრანგ სეგარს. ამ შეჯიბრებებზე ქართველი სპრინტერები გამოდიოდნენ არა სარბოლო, არამედ ტრეკისათვის გადაკეთებულ საგზაო ველოსიპედებით, მაშინ როდესაც ფრანგები იმ დროის პირველ ხარისხოვანი სატრეკო ველოსიპედებით იყვნენ აღჭურვილნი.

1932 წელს (იმ დროს ჯერ კიდევ არ ტარდებოდა საბჭოთა კავშირის პირველობები და რეკორდებიც არ აღინუსხებოდა) რესპუბლიკის უძლიერეს სპრინტერთა რიგებში ჩადგა ა. ხაბურზანია, რომელმაც თბილისის გადაკეთებულ ტრეკზე მოიგო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი სპრინტერები, ტულელები — ე. პოპოვი, დ. სოლოვიოვი და სხვები.

ომის შემდგომ პერიოდში (1946-49 წლებში) კავკასიაში უძლიერესი სპრინტერი იყო ი. ვარდიშვილი, რომელიც 1949 წელს ტულაში გამართული „ბოლშევიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა. 1950 წლიდან საქართველოში უძლიერესი სპრინტერი ო. დადუნაშვილია. წარმატებით გამოდიოდა სპრინტში საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი საშუალო მანძილებზე რბოლაში ვ. ჯონჯოლიანი, რომელმაც 1950 წელს სიმფეროპოლში მოიგო „ბოლშევიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა, შემდეგ გამოჩნდა მთელი პლეადა ახალგაზრდა სპრინტერებისა, რომლებიც სხვადასხვა დროს იმარჯვებდნენ „სპარტაკის“, „ნაუკას“ და სხვა სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების პირველობებში. მათ შორის უნდა დავასახელოთ უ. ჯიმშელეიშვილი, გ. თელია, გ. ჯოხაძე, გ. ცქიტიშვილი და სხვები.

როგორც ვხედავთ, ომარის წარმატება საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე შემთხვევითი არ არის. საქართველოში უკვე დიდი ხანია არსებობს სპრინტის სკოლა. იგი ცნობილია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ესტაფეტა კი თაობიდან თაობაზე გადადის.

ახლა ქართველ სპრინტერთა ოსტატობა იმდენად მაღალია, რომ საქართველოს ველორბოლის ფედერაციამ აუკრძალა სპორტის ოსტატებს თბილისის ტრეკზე შეჯიბრებაში მონაწილეობა, ვინაიდან ჩვენი ტრეკის კონსტრუქცია სპორტსმენს საათში 60 კილომეტრზე მეტი სიჩქარის განვითარების საშუალებას არ აძლევს. ჩვენი სპრინტერები კი უკვე საათში 75 კილომეტრსა და მეტსაც ავითარებენ.

**ჯ. ზანდუკელი,**
სპორტის ოსტატი.

ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი, უნგრელი მოკრივე ლასლო პაპი, როგორც ცნობილია, წარმატებით გამოდის პროფესიულ რინგზე. ევროპაში მან ჩაატარა მთელი რიგი საპასუხისმგებლო შეხვედრები და ბრწყინვალე გამარჯვებასაც მიაღწია.

**სურათზე:** თქვენ ხედავთ ლასლო პაპს ვარჯიშის დროს.

## სტოკჰოლმში გამგზავრებამდე

მოსკოველმა მაგიდის ჩოგბურთელმა ზ. რუდნოვამ, როგორც ცნობილია, მესამე სპარტაკიადაზე ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მან ახალ წარმატებას მიაღწია აგრეთვე ახლახან ლიუბლიანაში იუგოსლავიის ღია ჩემპიონატზეც. ზ. რუდნოვამ აქ ვერცხლის მედალი მოიპოვა და წინ გაუსწრო ევროპის ბევრ საუკეთესო მაგიდის ჩოგბურთელს. მოსკოველი მოსწავლის ეს წარმატება აქამდე ჩატარებულ საერთაშორისო შეჯიბრებებზე საუკეთესოთაგან საუკეთესოა საბჭოთა სპორტსმენებს შორის.

ახლა საბჭოთა მაგიდის ჩოგბურთელები ემზადებიან სკანდინავიის ქვეყნების ღია ჩემპიონატში მონაწილეობისათვის, რომელიც სტოკჰოლმში ჩატარდება. სტოკჰოლმში გამგზავრებამდე საბჭოთა კავშირის უძლიერესმა ჩოგბურთელებმა მოსკოვში, „კრილია სოვეტოვის“ დარბაზში ჩაატარეს ტურნირი. ზ. რუდნოვამ ამ შეჯიბრებაზეც ისახელა თავი და ფინალში კიეველი ს. გრინბერგის დამარცხებით (3:1) გამარჯვებულის წოდება მოიპოვა.

ვაჟთა შეჯიბრებაზე კი მოხდა სენსაცია. აქ გამარჯვება წილად ხვდა მოსკოველ მოსწავლეს კ. დმიტროვს, რომელმაც ფინალში ანგარიშით 3:0 დაამარცხა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელი ბაქოელი ნ. ნოვიკოვი.

ახალგაზრდა მხატვართა კუთხე.

ნახატი ი. დოიაშვილისა.

# ოლიმპიური ქვეყანა

### ნ. XVIII ოლიმპიური თამაშებისათვის მზადება

იაპონიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ოლიმპიადისათვის მზადებას დიდი ადგილი უჭირავს. აქ მიაჩნიათ, რომ იაპონიამ ოლიმპიადაზე არაოფიციალურ ჩათვლაში უთუოდ მესამე საერთო-გუნდური ადგილი უნდა დაიკავოს. თუ გავიხსენებთ, რომ ასეთი ამოცანა ავსტრალიელებმა 1956 წელს წარმატებით გადაჭრეს მელბურნში, გასაკვირი არაა იგივე გაიმეორონ ტოკიოს ოლიმპიადის მასპინძლებმაც.

ოლიმპიადის ორგანიზება იაპონელებს წინასწარი გაანგარიშებით დაუჯდებათ 11.300 მილიონი იენი (1000 იენი უდრის 2 მანეთსა და 51 კაპიკს). აქედან 8.800 მილიონი იენი დაიხარჯება სპორტსმენთა მომზადებისა და თამაშების უშუალო ჩატარებისათვის, 1600 მილიონი იენი — ოლიმპიური გუნდების მომზადებისათვის და 900 მილიონი იენი — მემორიალური ოლიმპიური მუზეუმის აგებისათვის.

ბილეთების ფასი ოლიმპიურ თამაშებზე ძალზე ძვირი იქნება. ასე მაგალითად, მძლეოსნობაზე დასასწრები ბილეთები ეღირება 500 იენიდან 4.000 იენამდე.

ტოკიოს ოლიმპიადისათვის მზადება იაპონელებმა დაიწყეს ჯერ კიდევ 1960 წლის იანვარში, როცა მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო რომის ოლიმპიადისაკენ. ამ ვითარებაში დაიწყო ტოკიოში მუშაობა „1964 წლის ოლიმპიური ჩემპიონების მოსამზადებელმა ცენტრმა“. 1964 წლის ოლიმპიადისათვის 5-წლიანი მზადების გეგმის შესრულების მიზნით იაპონელებმა 1960 წელსვე შეარჩიეს 1600 ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენი. მზადების გეგმა ასეთი იყო: 1960-61 წწ. — საფუძველი ჩაეყაროს სპორტსმენთა ფიზიკურ მომზადებას; 1962-63 წწ. — დამთავრდეს ფიზიკური მომზადების, სპორტული წვრთნის თეორიისა და მეთოდიკის ათვისების პროგრამის გავლა; 1964 წ. — საბოლოოდ დაიხვეწოს ოლიმპიელთა ოსტატობა.

მიმდინარე წლისათვის ოლიმპიური ნაკრების 1600 კანდიდატთან შეირჩა 1000 სპორტსმენი, რომლებიც განაგრძობენ მზადებას (მათგან 700 სტუდენტია).

1962 წლის დასასრულს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებმა კითხვით მიმართეს იაპონიის სპორტულ ფედერაციებს, თუ რამდენი მედლის მოპოვების იმედი აქვთ მათ ტოკიოში. პასუხი საკმაოდ ოპტიმისტური აღმოჩნდა: 30 ოქროს, 17 ვერცხლისა და 25 ბრინჯაოს მედალი! ეს თითქმის იმდენივეა, რამდენიც აშშ-მ მოიპოვა რომის ოლიმპიადაზე. რაც შეეხება თვით იაპონელებს, მათ ყველა წინა ოლიმპიადაზე სულ 20 ოქროს მედალი მოიპოვეს.

ეროვნულმა ფედერაციებმა ზუსტად აღნიშნეს სავარაუდო მედლების რაოდენობა ამა თუ იმ სახეობაში ცალ-ცალკე. ამ წინასწარ გამოანგარიშებიდან გამომდინარე, იაპონიის ოლიმპიური კომიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფედერაციების მიერ დასახელებული მედლების რაოდენობა ნახევრამდეც რომ შემცირდეს, ისიც საკმარისი იქნება საერთო წარმატებისათვის, თუმცა ძნელია ითქვას, რომ ამ შემთხვევაში იაპონელები საერთო გუნდურ ჩათვლაში III ადგილს მოიპოვებენ. სწორედ ამიტომ ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა იაპონიის სპორტსმენებს მიმართა მოწოდებით, კიდევ უფრო გააძლიერონ მზადება ოლიმპიადისათვის.

---

**დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 226, 227, 228.**

## „ბალკანიადის“ ჩემპიონი

ბელგრადში დამთავრდა კალათბურთელ ქალთა გუნდების ტურნირი, ე. წ. „ბალკანიადა“. ეს შეჯიბრება ტრადიციულია იუგოსლავიის, იტალიის, ბულგარეთისა და რუმინეთის გუნდებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირში, როგორც წესი, იმარჯვებს (უკვე მესამედ) ბულგარეთის ეროვნული ნაკრები.

ბულგარელებმა წელსაც წარმატებით დაამთავრეს გათამაშება. მათ თავდაპირველად დაამარცხეს იტალიელი სპორტსმენები — 72:46, შემდეგ რუმინეთის გუნდი — 65:50. დრამატული ბრძოლით აღინიშნა ფინალური შეხვედრა მასპინძლებსა და ბულგარელ კალათბურთელებს შორის. იუგოსლავიის გუნდი წინ იყო თითქმის მთელი თამაშის მანძილზე, მაგრამ უკანასკნელ წუთზე მან გამარჯვება დაუთმო ბულგარეთის ნაკრებს ანგარიშით 42:43.

ტურნირში ადგილები ასე განაწილდა: 1. ბულგარეთი, 2. იუგოსლავია, 3. რუმინეთი, 4. იტალია. შეჯიბრების ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი იყო ბულგარეთის გუნდის წევრი ნ. ბორისოვა. მან თავის კოლექტივს 47 ქულა მოუტანა.

## ფეხბურთის ქრონიკა

**შედგა** მორიგი მატჩები ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. პრაღაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დუკლა“ და პოლონეთის ჩემპიონი — „გურნიკი“ (ზაბჟე). პირველი მატჩი ჩეხებს წაგებული ჰქონდათ ანგარიშით 0:2. სარევანშო შეხვედრა მათ კარგად ჩაატარეს, გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1 და გავიდნენ გათამაშების შემდგომ წრეში.

**ლუქსემბურგში** ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ქენესი“ და ბელგრადის „პარტიზანი“. მასპინძლებმა საუკეთესო თამაში აჩვენეს და მოულოდნელი დამარცხება მიაყენეს მოწინააღმდეგეს — 2:1. „ქენესი“ და „პარტიზანი“ განმეორებით შეხვდებიან ერთმანეთს ბელგრადში.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება წყალტუბოს რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარის

**გიორგი კლიმენტის-ძე თალაკვაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-36-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-36-09.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 00845